

ნათია სიხარულიძე
(საქართველო)

ქართულენოვანი გზამკვლევი კომპარატივისტიკის სამყაროში
(2020)

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA), რომელიც 2008 წელს დაარსდა, არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს – ამზადებს და გამოსცემს იმ ტიპის ნაშრომებს, რომელთა მნიშვნელობა სამეცნიერო სივრცისა და საგანმანათლებლო დანებსებულებებისათვის შეუცვლელია. სწორედ ამ ასოციაციის მიერ, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების ბაზაზე, მომზადდა და 2020 წელს გამოიცა „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა. გზამკვლევი და ანთოლოგია“.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი აერთიანებს ქართველი კომპარატივისტების ნაშრომებს, რომლებიც წარმოადგენენ საიმედო გზამკვლევებს იმ სფეროში, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ჩვენს სინამდვილეში ბოლო დრომდე საფუძვლიანად შესწავლილი რომ არ ყოფილა. წიგნის მეორე ნაწილი მოიცავს კომპარატივისტიკაში საეტაპოდ მიჩნეული ტექსტების თარგმანებს. შეიძლება ითქვას, რომ ესაა საქართველოში ამ დარგში მომზადებული წიგნის გამოცემის პირველი პრეცედენტი, როდესაც ერთადაა თავმოყრილი ქართველ მკვლევართა ნაშრომები და უცხოელი ავტორების ქრესტომათიული ტექსტები.

„შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას“ უძღვის შესავალი, სადაც წარმოჩენილია ამ გამოცემის მნიშვნელობა და თავისებურებები. წიგნის პირველ მონაკვეთში შესაძლებლობა გვაქვს, გავეცნოთ ირაკლი კენჭოშვილის, ირინე მოდებაძის, თამარ ნუცუბიძისა და ირმა რატიანის ვრცელ სტატიებს. თითოეული ნაშრომი, გარდა იმისა, რომ შესასწავლ საკითხს სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩენს და აანალიზებს, ეძღვნება კომპარატივიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების კონკრეტულ ეტაპს. ამის გათვალისწინებით, ეს ოთხი ნარკვევი აღიქმება, როგორც ერთი მთლიანობა. მასალის ამგვარი განლაგება ეხმარება მკითხველს, შეიქმნას სათანადო წარმოდგენა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიისა და დანიშნულების, მისი მნიშვნელობისა და ძირითადი პრინციპების შესახებ.

ლიტერატურული კომპარატივისტიკის სათავეებს მეცნიერები ჯერ კიდევ ანტიკური დროის მწერლობაში ხედავენ, თუმცა, შედარებითი კვლევების გააზრება ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერული მიმართულების სახით მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იწყება. როგორი იყო

კომპარატივისტული კვლევები სანყის ეტაპზე, რა ხასიათი ჰქონდა ამ კვლევებს და რამდენად განსხვავდებოდა ისინი თანამედროვე კომპარატივისტული ნაშრომებისაგან? – ამ და სხვა კითხვებზე პასუხს ეძღვნება ირინე მოდებაძის ნარკვევი „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სათავეებთან“.

სტატიის ერთი ნაწილი კომპარატივიზმის წინარე ისტორიას ეთმობა. ავტორი მსჯელობს ანტიკური და შუასაუკუნეების ეპოქის იმ მხატვრულ და ფილოსოფიურ ტექსტებზე, რომლებშიც უკვე ნათლად შეინიშნება კომპარატივისტულ ტენდენციებზე საუბარი. მკვლევარი მიმოხილვას არისტოფანეს „ბაყაყებიდან“ იწყებს და არაერთ ტექსტზე მსჯელობს, მათ შორის დანტე ალიგიერის თეორიულ ტრაქტატზე „ხალხური მჭევრმეტყველებისათვის“. აქვეა დასახელებული და შემდეგ მოკლედ მიმოხილული პიეტრო ბემბოს, სპერონე სპერონის, ჟოაშენ დიუ ბელეს, ფილიპ სიდნის და სხვათა ტრაქტატების სპეციფიკა და მნიშვნელობა.

გზამკვლევაში გარკვეული ადგილი ეთმობა ლიტერატურული კომპარატივისტიკის წინარე ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენად მიჩნეულ კამათს „ძველსა და ახალზე“, რომელიც მე-17–მე-18 საუკუნეების მიჯნაზე გაიმართა საფრანგეთში, მოგვიანებით კი ინგლისსა და სხვა ქვეყნებში გადაინაცვლა და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო, როგორცაა მხატვრული გემოვნება, კლასიციზმის ესთეტიკა, პოეტიკა, სტილი და სხვა. ი. მოდებაძე ამ ტექსტებს კომპარატივისტული კუთხით განიხილავს და მართებულად მიუთითებს, რომ ეს იყო თეორიულად გაუცნობიერებელი და მეთოდოლოგიურად დაუმუშავებელი ემპირული კომპარატივისტიკა. ნაშრომის შემდეგი მონაკვეთი ეთმობა იმის გარკვევას, თუ რა დროიდან იწყება შედარების გააზრება უკვე არა მხოლოდ ემპირული კვლევის ხერხად, არამედ შედარებითი მეთოდოლოგიის ძირითად პრინციპად, ანუ კომპარატივისტიკის, ვითარცა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ მეცნიერულ მიმართულების დაფუძნება.

ცნობილია, რომ შედარებითი მიდგომის მეცნიერული პარადიგმის დამუშავების სანყისები, მე-18 საუკუნიდან იჩენს თავს. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება მიგრაციულ (სესხების) თეორია. აღნიშნული თეორიის ფუძემდებლის – გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე თეოდორ ბენფეის მოსაზრებების, ძირითადი დებულებების განხილვისას ი. მოდებაძე საუბრობს იმ გავლენაზე, რომელიც ბენფეიმ მოახდინა შემდგომ პროცესებზე, კრიტიკულ-თეორიულ აზროვნებაზე, მათ შორის, რუს ფოლკლორისტა და ლიტერატურათმცოდნეთა წრეებზე. ამ თემაზე მსჯელობის დროს მკვლევარი ახსენებს აკაკი წერეთელს და მიუთითებს, რომ ეროვნული ფოლკლორისტიკის სათავეებთან მდგომი ქართველი მწერალი თავის კვლევებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ეყრდნობოდა კიდევ სესხების თეორიას, კერძოდ, მის რუსულ სახესხვაობას.

ზოგადად, ამგვარი პარალელები ჩვენს სინამდვილესთან „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობისთვის“ უცხო არ არის. ამავე ნარკვევაში, მა-

გალითად, როდესაც ი. მოდებაძე ფრანგი მწერლის და მოაზროვნის – ფერდინანდ ბრუნეტიერის ჟანრთა ევოლუციის თეორიის შესახებ საუბრობს, იქვე მიუთითებს, რომ ბრუნეტიერის სწავლებამ საგრძნობი გავლენა იქონია ქართული კრიტიკული აზრის განვითარებაზე, სახელდობრ, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელის – კიტა აბაშიძის ნაშრომებზე.

მე-19 საუკუნის დამლევს ლიტერატურულმა კომპარატივისტიკამ საბოლოოდ დაიმკვიდრა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მიმართულების ადგილი, მაგრამ მისი მეთოდოლოგია საგრძნობლად მერყეობდა ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის პარადიგმათა შორის. სწორედ ამ მერყეობის დაძლევისა და კომპარატივისტიკის უახლესი ისტორიის შესახებ მოგვითხრობს თამარ ნუცუბიძე ნარკვევში „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა თანამედროვე ეტაპზე“.

ტრადიციულ და თანამედროვე კომპარატივიზმს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების საილუსტრაციოდ ავტორი ცნობილ თეორეტიკოსთა მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ არაერთ ნაშრომზე საუბრობს, მათ შორის, მიმოიხილავს ორ საეტაპო ტექსტს: სტივენ ტეტეზი დე ზეპეტენეის „ახალი კომპარატივიზმის მანიფესტს“ და გაიატრი სპივაკის „დისციპლინის გარდაცვალებას“.

მკვლევარი საფუძვლიანად მსჯელობს „ახალი შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის“ უმთავრეს მახასიათებელზე, კერძოდ, იმის შესახებ, რომ შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა დღეს კულტურულ კვლევათა მიმართულებით ვითარდება. სათქმელის ნათელსაყოფად, საიმისოდ რომ სრული წარმოდგენა შეგვიქმნას თანამედროვე კვლევების სპეციფიკაზე, თ. ნუცუბიძე ბოლო დროს ახალი კომპარატივიზმის დარგში შექმნილი ნაშრომების სათაურებს გვაცნობს. რამდენიმე ათეული მოხსენების რეესტრზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ კომპარატივიზმის ახალი, ინტერდისციპლინარული მიმართულება, მართალია, მახვილს აკეთებს კულტურულ კვლევათა საგნისა და მეთოდების შეთავსებაზე, მაგრამ ამით არ იფარგლება, და გულისხმობს აგრეთვე ჩართულობას იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ და სხვა საზოგადოებრივ საკითხებში...“ (გვ. 60-61).

თანამედროვე კომპარატივისტული კვლევების ტენდენციების გაცნობისას, მკითხველს, ბუნებრივია, უჩნდება ინტერესი, რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოს საუნივერსიტეტო და სამეცნიერო სივრცეებში, რამდენად დაგვაშორა ჩვენმა საბჭოურმა წარსულმა დასავლურ სამყაროში მიმდინარე პროცესებს. ამ საკითხებს შეეხება ირმა რატიანის ვრცელი სტატია „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სწავლება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქების ქართულ უნივერსიტეტებში“. მკვლევარი გვიჩვენებს, თუ რატომ და როგორ ჩაენაცვლა საბჭოთა ეპოქაში ცნებას „კომპარატივისტიკა“ თავდაპირველად „შედარებით-ისტორიული კვლევები“, მოგვიანებით კი – „ლიტერატურული ურთიერთობები“. ავტორი წარმოაჩენს ამ

ტერმინებს შორის არსებულ იმ პრინციპულ განსხვავებებსაც, რომლებიც ძირეულად ცვლიდა კვლევების პერსპექტივებს.

ი. რატიანი განიხილავს იმ გავლენებს, საბჭოთა რეჟიმის სამოცდაათწლიანმა ბატონობამ რომ იქონია საქართველოში ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაზე, საუბრობს იმ შეზღუდვებზე, რომელთა გამოც კომპარატივისტული კვლევების დასავლური მოდელის დანერგვა მხოლოდ საბჭოური იდეოლოგიური შეზღუდვების გაუქმების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

სტატიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კომპარატივისტიკის სწავლების სირთულეებს პოსტსაბჭოთა საქართველოს უნივერსიტეტებში. მკვლევარი განმარტავს, თუ როგორ ხდებოდა არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და ქართველი მკითხველის დაკვალიანება დასავლურ აკადემიურ წრეებში უკვე დამკვიდრებული ინფორმაციით – ცნობებით ახალი მიდგომების, ტენდენციების, ცნებების შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ სტატიის ავტორი თვითონ არის აღნიშნული ურთულესი პროცესების უშუალო თანამონაწილე: ირმა რატიანი 2006 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საზღვრების გაფართოებისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის სწავლებისა თუ გაღრმავების პროცესი ქმნის შესანიშნავ შესაძლებლობას, ქართული მწერლობა განვიხილოთ, როგორც ევროპული კულტურის ორგანული ნაწილი. ხოლო თუ როგორ უნდა მოხდეს ქართული ლიტერატურის ორიენტირება დასავლური მწერლობის მიმართ – ამ საკითხს ეძღვნება ირაკლი კენჭოშვილი ნარკვევი „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა და ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგი საკითხი“. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ქართული კულტურა ორგანული ნაწილია ზოგადევროპული კულტურული კონგლომერატისა და, ამდენად, შესაძლებელია, ჩვენი ცხოვრების პროცესებსაც მივუსადაგოთ ის ცნებები და კატეგორიები, რომლებიც ევროპული ხელოვნების პრაქტიკის მიხედვით იქნა შემუშავებული. ავტორი ითვალისწინებს იმასაც, ქართულ კულტურას XIX საუკუნემდე უაღრესად სპეციფიკური ადგილი რომ უკავია ზოგადევროპულ სისტემაში. სწორედ ამიტომ იგი მოგვიწოდებს, აღნიშნულ ცნებათა თუ კატეგორიათა გამოყენებისას სიფრთხილე გამოვიჩინოთ და, რაც მთავარია, გავითვალისწინოთ ის სპეციფიკა, რომელსაც ესა თუ ის ტერმინი, ცნება თუ კატეგორია იძენს ქართული სინამდვილისადმი მისადაგებისას.

ნიგნის მეორე ნაწილი, როგორც ითქვა, წარმოადგენს კომპარატივისტიკის ანთოლოგიას, აქ დაბეჭდილია რენე უელეკის, ნიკოლაი კონრადის, ანა ბალაკიანის, ნაფტოლი ბასელის, ანრი რემაკის, ალექსანდრ დიმას, ნატალი პიეგე-გროს, ირინა ნეუპოკოევას, პიერ ბრუნელისა და იური ლოტმანის საეტაპოდ მიჩნეული ტექსტები. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქრესტომათი-

ული ნაშრომების მთარგმნელები, ძირითადად, ლიტერატურის თეორიის ქართველი სპეციალისტები არიან (ირაკლი კენჭოშვილი, თამარ ნუცუბიძე, ირინე მოდებაძე, რუსუდან თურნავა, შორენა შამანაძე, ნინო გაგოშაშვილი, არჩილ წერედიანი, ნინო პოპიაშვილი, თათია გოგალაძე).

„შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა. გზამკვლევი და ანთოლოგია“ ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებით დაინტერესებულ ფართო მკითხველს, ხოლო ჰუმანიტარული პროფილის სტუდენტებთან სწავლების ყველა საფეხურზე – ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში – შეასრულებს სახელმძღვანელოს ფუნქციას.

Natia Sikharulidze
(Georgia)

A Guide to Comparative Literature in Georgian (2020)

Summary

Key words: New Book, Comparative literature.

The Georgian Association of Comparative Literature implements many important projects - prepares and publishes the type of works, the importance of which is irreplaceable for the scientific space and educational institutions. „Comparative Literary Studies. Guide and Anthology“ was prepared and published by this association on the basis of the Department of Literary Theory and Comparative Studies of the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.

The book consists of two parts: the first part combines the works of Georgian researchers, which are reliable guides in comparative studies. The second part of the book includes translations of texts that are considered to be landmarks in comparative studies. It can be said that this is the first precedent of publishing a book prepared in this field in Georgia, when the works of Georgian researchers and chrestomathy texts of foreign authors are collected together.

Due to the diversity of the themes and profound analysis „Comparative Literary Studies. Guide and Anthology“ is a huge achievement in Georgian literary studies. It would be of a big interest not only for Georgian literature and scholars of cultural studies of XX century but also for the youth fond of literature as well as the reader in general.